<u>დანართი №6</u>

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **იურიდიული ფაკულტეტის** აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, არანაკლებ სავალდებულო კვირეულ 8-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 8-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, ასოცირებული პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, არანაკლებ სავალდებულო კვირეულ 10-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 10-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას და ასისტენტ-პროფესორებისათვის, რომლებიც ასრულებენ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრული დატვირთვისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მათ შორის, არანაკლებ სავალდებულო კვირეულ 12-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 12-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას, შრომით სამართლებრივ ურთიერთობას ახორციელებს მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (ნებადართულია: შესაბამისი ანაზღაურებით ან მის გარეშე სსიპ – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ და სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიებში სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციის განხორციელება, არასაუნივერსიტეტო გრანტებსა და პროექტებში, ასევე უნივერსიტეტის მიერ სამეცნიერო/კვლევით/უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობა ან ხსენებული ხელშეკრულების ან მემორანდუმის ფარგლებში, ასევე საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვა **(გადაწყვეტილებას ზემოხსენებული ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებულ ანაზღაურებად სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობაზე, ასევე სასწავლო კურსის ან მისი ნაწილის წაკითხვის თაობაზე, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ყოველი კონკრეტული აკადემიური პერსონალისათვის, შესაბამისი განხილვის საფუძველზე, იღებს თსუ რექტორი)**) და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ა“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 3550 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი – თვეში 3000 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი – თვეში 1660 ლარი;

2. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის იმ აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო, ვინც ასრულებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და აკადემიური პერსონალის მინიმალურ სავალდებულო დატვირთვას პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი სააუდიტორიო (პედაგოგიური), ასისტენტ–პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8-საათიან სააუდიტორიო (პედაგოგიური), 8-საათიან საკონსულტაციო დატვირთვას და ეწევა სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

„ბ“ კატეგორია

ა) პროფესორი - თვეში 1450 ლარი;
ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 1220 ლარი;
გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 1135 ლარი.

3. ასისტენტის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს თვეში 1000 ლარით. ასისტენტის თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს არანაკლებ სავალდებულო კვირეული 8-საათიანი სააუდიტორიო (პედაგოგიური) და 8-საათიანი საკონსულტაციო დატვირთვის შესრულება.